

შპს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაწილებები	7
4. ამონაგები	8
5. გაყიდვების თვითღირებულება	8
6. კომერციული ხარჯები	8
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8
8. არამატერიალური აქტივები / ძირითადი საშუალებები	9
9. სასაქონლო მატერიალური მარაგები	9
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	10
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	10
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11
15. პირობითი ვალდებულებები	11
16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12

შპს დიჯიტრონი**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	4	3,320,576	2,990,244
გაყიდვების თვითღირებულება	5	-2,561,564	-1,735,462
საერთო მოგება		759,012	1,254,782
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		14772.4	365
კომერციული ხარჯები	6	-205,739	-284,624
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	-584,398	-483,550
საეჭვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი	10	105,804	-74,968
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		89,452	412,005
ფინანსური შემოსავალი		46,095	25,466
კუსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება		8,284	1,177
მოგება დაბეგვრამდე		143,831	438,648
მოგების გადასახადის ხარჯი			-2
წლის მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)		143,831	438,646

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 31 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიგა ვახტანგაშვილი

მთავარი ბუღალტერი



ნათია ნემსინვერიძე

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს დიჯიტრონი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	69,583	
არამატერიალური აქტივები	8	73,720	87,216
		143,303	87,216
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	149,187	266,989
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	10	223,746	950,807
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,272,521	872,912
		1,645,454	2,090,708
სულ აქტივები		1,788,758	2,177,924
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	12	1,552,233	1,783,632
გადასახდელი დივიდენდები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,552,233	1,783,632
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,235	3,000
საემისიო კაპიტალი		-300,833	
რეზერვები		1,800	1,800
გაუნაწილებელი მოგება		533,323	389,492
სულ კაპიტალი		236,525	394,292
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,788,758	2,177,924

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს დიჯიტრონი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	რეზერვები	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	3,000	-	308,729	1,800	313,529
პერიოდის სრული მოგება/ (ზარალი)	-	-	- 357,883	- -	357,883
ცვლილებები კაპიტალში	-	-	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	3,000	-	- 49,154	1,800	- 44,354
პერიოდის სრული მოგება/ (ზარალი)	-	-	438,646	-	438,646
ცვლილებები კაპიტალში	-	-	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	3,000	-	389,492	1,800	394,292
პერიოდის სრული მოგება/ (ზარალი)	-	-	143,831	-	143,831
ცვლილებები კაპიტალში	-	-	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-	-	-
წილის გამოსყიდვა	-765	- 300,833	-	-	- 301,598
2024 წლის 31 დეკემბერი	2,235	-300,833	533,323	1,800	236,525

შპს დიჯიტრონი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	143,830	438,646
კორექტირებები:		
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯი	-46,095	-25,466
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროს სხვაობიდან	-8,284	-1,177
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება) / ზარალი	-	-
საეჭვო ვალების რეზერვის ცვლილება	-105,804	74,968
ცვეთა და ამორტიზაცია	111,409	19,847
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	95,056	506,818
სამუშაო კაპიტალის ცვლილება		
მარაგების (ზრდა) / კლება	117,803	28,273
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) / კლება	839,562	-716,369
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (კლება)	-229,203	312,384
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	823,218	131,106
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე მიღებული პროცენტები	46,095	25,466
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	869,313	156,572
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-69,598	-
პარტნიორის წილის გამოსყიდვა	-301,599	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-97,898	-68,728
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო	-469,095	-68,728
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	-	-
მიღებული / (გადახდილი) სესხები	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	400,220	87,844
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	872,912	785,945
საკუროს სხვაობის ეფექტი	-610	-877
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,272,522	872,912

7 - 15 გვერდებზე წამოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დიჯიტრონი (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია (ID: 205033444) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წელს.

კომპანიის იურიდიული მისამართია ყაზბეგის გამზირი #42, თბილისი, საქართველო, ხოლო ფაქტიური მისამართია ტატიშვილის ჩიხი I, 0108, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება.

კომპანიის სამართლებრივი ფორმა 2021 წლის 19 აპრილიდან არის სააქციო საზოგადოება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% აქციების მფლობელია შპს კინოთი.

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მის ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მის ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს. კომპანიის საანგარიშგებო წელი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ იგი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები.

შპს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარიში)

მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუჭვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

4. ამონაგები

	2024	2023
პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვიდან	295,874	768,914
მომსახურების გაწევიდან	3,024,702	2,221,330
	3,320,576	2,990,244

5. გაყიდვების თვითღირებულება

	2024	2023
დანახარჯები პერსონალზე	-2,015,574	-1,274,307
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-193,718	-269,041
შეძენილი მომსახურებები	-249,580	-150,461
სხვა პირდაპირი ხარჯები	-102,692	-41,653
	-2,561,564	-1,735,462

6. კომერციული ხარჯები

	2024	2023
დანახარჯები პერსონალზე	-149,841	-172,054
სხვა კომერციული ხარჯები	-55,898	-112,570
	-205,739	-284,624

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შეძენილი მომსახურება	-240,356	-197,615
ინფორმაციული უსაფრთხოების და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	-78,529	-87,468
ოფისის იჯარა	-176,870	-119,213
კომუნალური ხარჯები	-53,308	-44,414
ძირითადი საშუალებების იჯარა	-35,335	-34,840
	-584,398	-483,550

შპს დიჯიტრონი**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

8. ძირითადი საშუალებები / არამატერიალური აქტივები

	2024	2023
ძირითადი საშუალებები	69,583	-
არამატერიალური აქტივები	73,720	87,216
	143,303	87,216

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამა ბალანსისა და სხვა ლიცენზიებისგან. არამატერიალურ აქტივებზე და ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა 1-დან 5 წლამდეა.

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2024	2023
პროგრამული პროდუქტები	148,593	256,561
სხვა მარაგები	593	10,428
	149,187	266,989

10. საფაქრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
ფინანსური აქტივები		
საფაქრო მოთხოვნები	176,544	793,252
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	-4,147	-321,302
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	-	383,526
სხვა მოთხოვნები	-	-
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5,357	13,306
საგადასახადო აქტივები	45,992	82,025
სახელშეკრულებო აქტივები	-	-
	223,746	950,807

ცვლილებები საფაქრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში

	2024	2023
რეზერვის ნაშთი 1 იანვრისთვის	- 321,302	- 310,910
უიმედო რეზერვის ჩამოწერა	-	65,328
აღდგენილი რეზერვები	317,155	-
წლის განმავლობაში შექმნილი რეზერვები	-	- 72,445
საკუროს სხვაობის ეფექტი	-	- 3,275
რეზერვის ნაშთი 31 დეკემბრისთვის	- 4,147	- 321,302
ჩამოწერილი მოთხოვნები	-	- 2,524
აღდგენილი წინა პერიოდის უიმედო ვალები	323,058	-
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი	105,804	- 74,968
პერიოდის საექვო ვალების ხარჯები	- 217,254	- 74,968
პერიოდის შემოსავალი საექვო ვალების ამოღებით	323,058	-

შპს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024	2023
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	1,272,295	869,266
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	226	3,646
	1,272,521	872,912

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე დაერიცხა საპროცენტო შემოსავალი 46,095 ლარის ოდენობით (2023 წელს - 25,466 ლარი).

ფული რეზიდენტ ბანკში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“.

12. საგაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
ფინანსური ვალდებულება		
საგაჭრო ვალდებულება	557,613	972,908
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	151,484	146,565
გადასახდელი გადასახადები	-	-
არაფინანსური ვალდებულება		
მიღებული ავანსები	843,137	664,159
	1,552,233	1,783,632

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	კავშირის სახე	დაკავშირებული მხარის ბალანსი	სულ
გაყიდვების თვითღირებულება		-112,500	-2,561,564
დანახარჯები პერსონალზე	უმაღლესი მმართველობითი ორგანო	-112,500	

შპს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

1. კომპანიის სამართლებრივი ფორმის ცვლილება

2025 წლის 24 თებერვალს რეორგანიზაციის შედეგად, კომპანიის სამართლებრივი ფორმა შეიცვალა. კომპანია, რომელიც აქამდე ფუნქციონირებდა როგორც "სააქციო საზოგადოება", გარდაიქმნა "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად".

2. შერწყმა სხვა იურიდიულ პირებთან

2025 წლის 13 მაისს, რეორგანიზაციის ფარგლებში, განხორციელდა შპს "კინოთი" (ს/ნ 405448403) და შპს "მარლინ ჯორჯია" (ს/ნ 405589233) შერწყმა კომპანიასთან. შერწყმის შედეგად კომპანიამ მიიღო აღნიშნული სუბიექტების აქტივები და ვალდებულებები სრული მოცულობით.

3. პარტნიორთა შემადგენლობის ცვლილება

რეორგანიზაციის შემდეგ კომპანიის პარტნიორები გახდნენ შემდეგი სუბიექტები:

პარტნიორი	წილის რაოდენობა	წილი
შპს "ემკა ინვესტი" (ს/ნ 405741808)	4 832	48.32%
შპს "ლ-ინვესტი" (ს/ნ 405553039)	4 832	48.32%
შპს "ექს-40" (ს/ნ 405609514)	336	3.36%

4. ახალი აქციების გამოშვება და პარტნიორთა შემადგენლობის განახლება

2025 წლის 1 ივლისის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, კომპანიამ გამოუშვა 3 400 ახალი აქცია. აღნიშნული აქციებიდან 2 730 ცალი გადაეცა ახალ პარტნიორებს. დარჩენილი 670 აქცია ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისთვის წარმოადგენს გამოშვებულ წილს.

5. დივიდენდის განაწილება

2025 წლის 31 ივლისის პარტნიორთა კრების ოქმით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილებაზე.

15. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა

შპს დიტიტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარი)

იმისა, რაც თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოეყენას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753	3.4228
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306	3.5349

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტიანი ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის გასვლა; ან (ii) ჯუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე.

შპს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარიში)

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გავალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გაცემა, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის მოხდა გამოცხადება.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელი მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარდგენილი ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შესრულებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შპს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარიში)

საოპერაციო იჯარა

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრეში მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები განვიხილავთ აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაუაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამოდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებიდან დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

შპს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.